ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის
ო ქ მ ი №01-07/05

დაბა ქედა,

25 აპრილი, 2024 წელი.

სხდომა დაიწყო: 16:00 საათზე.
სხდომა დამთავრდა: 16:15 საათზე.

სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან ცინცაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
რეზო თურმანიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
არჩილ გორგილაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ამირან წულუკიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ბერიძე - ქედის მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;
ოთარ ხარაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
მერაბ ნაკაშიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ვერძაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე.

სხდომას არ ესწრებოდნენ:
ვაჟა აბულაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
დავით სირაბიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
ნონა ბერიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საქმისწარმოების საკითხებში;
მუხრან სალაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-07/05 ბიუროს სხდომა

25 აპრილი, 2024 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან ციწცაძე	საკრებულოს თავმჯდომარე	
2	რომან დავითაძე	თავმჯდომარის I მოადგილე	
3	რეზო თურმანიძე	თავმჯდომარის მოადგილე	
4	არჩილ გორგილაძე	თავმჯდომარის მოადგილე	
5	ამირან წულუკიძე	კომისიის თავმჯდომარე	
6	ლევან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
7	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
8	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის თავმჯდომარე	
9	ვაჟა აბულაძე	კომისიის თავმჯდომარე	
10	ლევან ვერძაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
11	დავით სირაბიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	

სხდომის თავმჯდომარემ დასამტკიცებლად წარმოადგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 აპრილის №01-07/05 ბიუროს სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1. „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 სექტემბრის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

2. ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (ბალანსზე) არსებული მოძრავი ქონების უსასყიდლოთ საკუთრების უფლებით შპს „ქედის წყალკანალი “-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

3. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ანგარიში 2023 წელში გაწეული მუშაობის შესახებ;

4. 2023 წლის მდგომარეობით ა(ა)იპ „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება“-ში არსებული ინფორმაციის მოსმენა;

5. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 აპრილის №01-06/05 მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტის განსაზღვრა.

ბიუროს სხდომის დღის წესრიგის გაცნობის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ ბიუროს წევრებს აცნობა, რომ 2024 წლის 29 მარტის №:გ-95.95240891 განკარგულებით საჯარო ადმინისტრაციული წარმოება მიმდინარეობდა „ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლებისა და ვალდებულებების შესასრულებლად დამატებითი ვადის მიცემის წესის განსაზღვრის თაობაზე“ - მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე. საკითხი სამართლებრივი კონსულტაციისათვის გადაგზავნილი იყო (წერილის ნომერი: №95-95240891; 29.03.2024) საქართველოს მთავრობის ადმინისტაციის იურიდილ დეპარტამენტში. მთავრობის ადმინისტრაციიდან მიღებული პასუხის თანახმად (წერილის ნომერი: №:03-95241011-95; 10.04.2024), წარმოდგენილი საკითხი ნორმატიული აქტის ნაცვლად უნდა დარეგულირდეს ,,„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ. ე“ ქვეპუნქტის მიხედვით. რომლის თანახმად, მერი არის უფლებამოსილი მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით გადაწყვიტოს მუნიციპალიტეტის ქონების შემძენის/სარგებლობის უფლებით მიმღების/მართვის უფლებით მიმღების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან განთავისუფლების საკითხი“. აქვე ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტისაგან მიღებული შენიშვნა წერილობით ეცნობა/გაეგზავნა (წერილის ნომერი: №95-95241063;15.04.2024) ქედის მუნიციპალიტეტის მერს. 23 აპრილს კი ჩატარდა სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომა. კომისიის სხდომაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერიიდან წარმოდგენილი იყო მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი სულიკო ბოლქვაძე, რომელმაც აღნიშნა, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მიხედვით მერი თავისი უფლებამოსილების ფარგლებში განახორციელებდა აღნიშნული საკითხის რეგულირებას და მთავრობის ადმინისტრაციის შენიშვნის (საკრებულოს მიერ გადაგზავნილი №95-95241063 წერილის) გათვალისწინებით თანახმა იყო აღნიშნული დადგენილების პროექტი საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად აღარ განეხილათ. აქედან გამომდინარე, საკრებულოს ბიუროს

სხდომის დღის წესრიგში საკითხად უნდა დამატებულიყო „ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლებისა და ვალდებულებების შესასრულებლად დამატებითი ვადის მიცემის წესის განსაზღვრის თაობაზე“ (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის №g-95.95240892 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნული საკითხის დამატების მიზნით წარმოადგინა №01-06/05 ბიუროს სხდომის დღის წესრიგის განახლებული პროექტი შემდეგი სახით:

1.„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 სექტემბრის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

2.„ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლებისა და ვალდებულებების შესასრულებლად დამატებითი ვადის მიცემის წესის განსაზღვრის თაობაზე“ (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის №g-95.95240892 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

3.ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (ბალანსზე) არსებული მოძრავი ქონების უსასყიდლოთ საკუთრების უფლებით შპს „ქედის წყალკანალი “-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

4.ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ანგარიში 2023 წელში გაწეული მუშაობის შესახებ;

5.2023 წლის მდგომარეობით ა(ა)იპ „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება“-ში არსებული ინფორმაციის მოსმენა;

6.ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 აპრილის №01-06/05 მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტის განსაზღვრა.

ბიუროს სხდომის დღის წესრიგის წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოთქმულა.

შემდეგ ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

1.დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 აპრილის №01-07/05 ბიუროს სხდომის დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტი.

1.მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 სექტემბრის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ ბიუროს წევრებს წარუდგინა „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 სექტემბრის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (წერილის ნომერი: №12-95240866-95, 26.03.2024 წელი) საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად და აქვე განმარტა, რომ აღნიშნული დადგენილების პროექტზე 2024 წლის 29 მარტიდან მიმდინარეობდა საჯარო ადმინისტრაციული წარმოება (განკარგულების რეგისტრაციის ნომერი: №g-95.95240892, 29.03.2024 წელი), საკითხი 23 აპრილს განხილული იქნა სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომაზე და წარმოდგენილი იყო აღნიშნული კომისიის დასკვნაც (კომისიის დასკვნა: №d95.95241152, 24.04.2024 წელი).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანას.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

1.საკითხი შეტანილი იქნას ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/05 მორიგი სხდომის დღის წესრიგში;

2.საკრებულოს სხდომაზე საკითხის მომხსენებლად განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამსახურის უფროსი ბადრი სურმანიძე, ხოლო თანამომხსენებლად ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვაჟა აბულაძე.

2.მოისმინეს: „ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლებისა და ვალდებულებების შესასრულებლად დამატებითი ვადის მიცემის წესის განსაზღვრის თაობაზე“ (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის Ng-95.95240892 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს წარუდგინა სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვაჟა აბულაძის ინიციირება - ,,ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლებისა და ვალდებულებების შესასრულებლად დამატებითი ვადის მიცემის წესის განსაზღვრის თაობაზე“ (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის Ng-95.95240892 განკარგულების

ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი: №95-95241165, 25.04.2024 წელი.) საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანას.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

1.საკითხი შეტანილი იქნას ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/05 მორიგი სხდომის დღის წესრიგში;

2.საკრებულოს სხდომაზე საკითხის მომხსენებლად განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვაჟა აბულაძე.

3.მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (ბალანსზე) არსებული მოძრავი ქონების უსასყიდლოთ საკუთრების უფლებით შპს „ქედის წყალკანალი"-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (ბალანსზე) არსებული მოძრავი ქონების უსასყიდლოთ საკუთრების უფლებით შპს „ქედის წყალკანალი"-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი: №12-95241142-95, 23.04.2024 წელი.) საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად და აქვე აღნიშნა, რომ საკითხი 24 აპრილს განხილული იქნა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე და წარმოდგენილი იყო კომისიის დასკვნაც (კომისიის დასკვნა: №დ95.95241162, 25.04.2024 წელი).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანას.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

1.საკითხი შეტანილი იქნას ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/05 მორიგი სხდომის დღის წესრიგში;

2.საკრებულოს სხდომაზე საკითხის მომხსენებლად განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური სამსახურის უფროსი სულიკო ბოლქვაძე, ხოლო თანამომხსენებლად ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე მერაბ ნაკაშიძე.

4.მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ანგარიში 2023 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ანგარიში 2023 წელში გაწეული მუშაობის შესახებ (წერილის ნომერი: №12-95241133-95, 22.04.2024 წელი.) საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად და აქვე აღნიშნა, რომ საკითხი 24 აპრილს განხილული იქნა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე და წარმოდგენილი იყო კომისიის დასკვნაც (კომისიის დასკვნა: №დ95.95241161, 25.04.2024 წელი).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

1. საკითხი შეტანილი იქნას ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/05 მორიგი სხდომის დღის წესრიგში;

2. საკრებულოს სხდომაზე საკითხის მომხსენებლად განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური სამსახურის უფროსი სულიკო ბოლქვაძე, ხოლო თანამომხსენებლად ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ამირან წულუკიძე.

5.მოისმინეს: 2023 წლის მდგომარეობით ა(ა)იპ „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება“-ში არსებული ინფორმაციის მოსმენა.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს წარუდგინა 2023 წლის მდგომარეობით ა(ა)იპ „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება“-ში არსებული ინფორმაციის მოსმენა (წერილის ნომერი: №06/95241022-95, 11.04.2024 წელი.) საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად და აქვე განმარტა, რომ საკითხი 23 აპრილს განხილული იქნა სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე და წარმოდგენილი იყო კომისიის დასკვნაც (კომისიის დასკვნა: №დ95.95241151, 24.04.2024 წელი).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანას.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

1. საკითხი შეტანილი იქნას ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/05 მორიგი სხდომის დღის წესრიგში;

2.საკრებულოს სხდომაზე საკითხის მომხსენებლად განისაზღვროს ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორი აიშე თებიძე, ხოლო თანამომხსენებლად ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ოთარ ხარაძე.

შემდგომ სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ დამსწრეთ წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 აპრილის №01-06/05 მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი და საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:

1.„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 სექტემბრის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

მომხსენებელი: მერიის ადმინისტრაციული სამსახურის
უფროსი: ბადრი სურმანიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და
ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

2.„ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლებისა და ვალდებულებების შესასრულებლად დამატებითი ვადის მიცემის წესის განსაზღვრის თაობაზე“ (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის №g-95.95240892 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და
ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

3.ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (ბალანსზე) არსებული მოძრავი ქონების უსასყიდლოთ საკუთრების უფლებით შპს „ქედის წყალკანალი“-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების
სამსახურის უფროსი: სულიკო ბოლქვაძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და
ბუნებრივი რესურსების საკითხების
კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

4.ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ანგარიში 2023 წელში გაწეული მუშაობის შესახებ;

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების
სამსახურის უფროსი: სულიკო ბოლქვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

5.2023 წლის მდგომარეობით ა(ა)იპ „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება"-ში არსებული ინფორმაციის მოსმენა;

მომხსენებელი: ა(ა)იპ „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება"-ს
დირექტორი: აიშე თებიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე: ოთარ ხარაძე

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

1. დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 აპრილის №01-06/05 მორიგი სხდომის დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტი;
2. ეთხოვოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ამ გადაწყვეტილების შესაბამისი ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემა (საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება);
3. დამტკიცებული დღის წესრიგის პროექტი გამოქვეყნდეს ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე www.keda.gov.ge.

სხდომის თავმჯდომარე: ამირან ცინცაძე

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და
საორგანიზაციო განყოფილების პირველი
კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
საქმისწარმოების საკითხებში ნონა ბერიძე